



მიმდინარეობს დრო და ჟამი; უნდა შევეყუროთ ვისმე სხვას, რომელზედაც თქვენ ვერ გვითითებთ და რომელსაც, თქვენის თვლით, არც გამოჩენა ელირსება, რადგანაც ყველას ვალდებულათ ხდით, არ ამოიღონ ხმა ამ საგნებზედ, სანამ ქართულს ენაზე მეცნიერული მწერლობა არ იქნება.

(დასასრულია სვალ)

ახალი ამბები.

ძართული დრამატული საზოგადოების მმართველობა გეტხოვს გამოაცხადოთ შემდეგი იმის გარდაწყვეტილება:

ორიგინალურ სავანძო პიესებზედ დაენიშნოს ავტორს ჯილდოდ ათს თუმანადე და ყოველ წმინდა შემოსავლიდან, იმ პიესის მიხედვით — ხუთი პროცენტიც მიეცეს ავტორსა.

ჩვენს ხასიათსა და ზნეზედ გადმოკეთებულ პიესებზე ავტორს დაენიშნოს ხუთ თუმანადე ჯილდოდ და წმინდა შემოსავლიდან ორი პროცენტი.

თარგმანზედ — სამს თუმანადე და ორი პროცენტი წმინდა შემოსავლიდან.

ზარდა ამისა წერილობის პიესებისათვის (ვოდვეილები და ფარსი), რომელნიც საგანძეთ არ იგულისხმებინან, თითო თუმანადე და თუ ორიგინალურია, — ორ თუმანადე.

მსურველთ შეუძლიანთ თავისი დრამატული თხზულება და თარგმანი წარუდგინონ „ძართულ დრამატულ საზოგადოების მმართველობის“ სექრეტარს ქოსტანტინე ლიმიტრისძეს შიფიანს, საპიორის ქუჩაზედ, შყონიას სახლებში, № 56, დილის 8 საათიდან 10 საათამდე და 10 საათიდან სადილობამდის არწრუნის თეატრში, ყოველ დღე.

* *

ჩვენ მივიღეთ გუშინწინ პირველი ნომერი ახალ რუსულ ჟურნალისა „იურიდიულ მიმოხილვისა“ (Юридическое обозрение), რომელმანც აპირილია დაიწყო ჩვენს ქალაქში გამოცემა ბ. ა. მ. სტეფანოვის რედაქტორობითა და ა. ს. ჩრენკელის გამომცემლობით.

ამ პირველ ნომერში, სხვათა შორის, დაბეჭდილია ბ. ნ. ნიკოლაძის წინა სტატია, შემდეგ სტატიები: ჟურნალის დანიშნულებაზედ, სისხლის სასამართლოს ექსპერტიზა, მიმოხილვითური დიულ ლიტერატურისა, ახალი წიგნები, ნარევი, სენატისა და იმ. სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილებანი და სხე.

როგორც პირველ წიგნიდამაც სჩანს, რედაქციას ესმის თავის პირდაპირი მოვალეობა, დანიშნულება და ეცდება კიდევ, რომ სინიდიანიად შეუდგეს ამ დანიშნულების კარგათ აღსრულებას.

მაგრამ შემდეგში ენახათ, მარტო

ერთის ნომრით გარდაქრილი აზრის შედგენა ძნელია.

* *

ზორიად გვეწერენ, რომ სამი დიდი ეკლესია არის ჩვენს ქალაქში, რომელთაც კარგა ძალი შემოსივლილი აქვთ; ეს შემოსავალი აბრიათ ეკლესიების ხაზინადრებს — ირიცხულებს; მაგრამ ხშირად ათი და მეტი წელიწადი ისე გაივლისო, რომ მრევლი და არც სხვა ვინმე ამ ირიცხულებს არავითარ ანგარიშს არა სთხოვს და ესენიც, როგორც უნდათ, ისე ასარგებლებენ ეკლესიის ფულსაო.

„დროების“ კორექსონდენცია.

იმერეთი, 20 მარტს. რამდენიმე წელიწადია მას აქვთ, რაც საშინლად გავრცელდა ქუთაისის უეზლში ქურდობა პირუტყვისა; არა თუ მარტო საბალახოდ იპარაიდნენ, არამედ შედიოდნენ სახლებში თავისუფლად სტებდნენ ბოსტებს და გამოყავდათ პირუტყვეები და თუ პატრონი გაიგებდა და დაუბატოვებელ სტუმრების მობრძანებას, ძალა-უნებურად უნდა მიეცა ძოლისათვის თავი და ისეთს ხერხის გააგონებდა სტუმრებს, რომ ისინი თავისუფლად მოქმედებდნენ!.. ამ ხერხში საცოდავი პატრონი ფიქრობდა: ოღონდ მე გადურჩე და ჯანი გავარდეს, რაც უნდა წაიყვანონ! მეტი რა ღონე ქონდა? ხეა რომ ამოელო, დაჩენდნენ, რადგან თავგამომეტებული კაცი ერთად დადიოდნენ.

ხშირად დღისითაც მოგზაურს თავზე ესხმოდნენ და სტარცვიდნენ.

ამ ორი წლის წინათ ბურილიამ მომავალს პოლკოვნიკს შიხთაეს წაართვეს ჩამადანი, რომელშიაც იყო მუნიციპალიტეტის ტანისამოსა. ეს მოხდა ქაპიტანის სტანციის მახლობლად იანეთის ტყისთან. ბუბერნატორმა გაგზავნა უეზლის უფროსის თანაშემწე და იმ გზებზედ ყოველგან საყარულოები გააკეთებინა და მცხოვრებლებიდან დანიშნა დღე და ღამე ყარაულები და მასთან ექვსი ყაზახ-რუსებიც; იმ დღიდან მოკლებული ეხლაც იქ არიან ყაზახ-რუსები.

შუა-დღეზედ მიმავალს ურიას მუთისიდან ხოწში, შეიდ ვერსტებზედ, დაუხებდნენ შარაზედ და დაჩენეს უმოწყალოდ; ურია იქვე მოკვდა და ახლა იმის მცირე წლოვანი შვილი შვილი ლუკა-პურს თხოულობენ...

სოფ. მფიშქვეთში წელს დაეცნენ მღვდელს; მოჯამატირე დაჩენეს, ცოლი დასტრეს და ოთხასი მანეთი ფულად წაართვეს და რაც რამე მოეძეოდა ოჯახის საშკაულობაც თან მიაცალეს.

მაგრამ ამას თქვენი ჭირი წაუღია: ამ ბოლოს დროს დაიწვეს ეკლესიების ცარცვა; მკრიბაში ორი ეკლესია გასტეხეს და ორივე ეკლესიიდან გაიტანეს ბარძიმ-ფეშხუმი და ყოველივე ეკლესიის სამკაული და თან მიატანეს სახარება და ქაწინი, ფუ-

ლები, რაც მოიძეოდა, ორმოც-დაათ მანეთამდის; ხატის დასანთობი სანთელიც კი არ დაუტოვებით!

ამ უბედურობისაგან დამხსნელი კაცი არ განჩა და ამის გამო თანდათან გახსნენ ქურდები. თუმცა პოლიცია შეუდგებოდა ხოლმე გახიძებას, მაგრამ ამ გამოძიებაში ისე დახელოვნდნენ ჩვენი ქურდები, რომ გამოძიება ვერას ამოაჩენდა. ხშირად როცა ვინმე ამ ბატონებს შეამჩნევდა ნაქურდალს, პირაქეთ სთხოვდა პოლიციას, შეაყენეთ პროტოკოლი და გარდაცით გამოძიებელსა და ჩემი სიმართლე იქ დამიმტკიცდესო. იმას წინათვე ჰქონდა გაჩარხული საქმე მოწმებთან და თამამად მიდიოდა გამოძიებელთან. ბოლოს გავიხსენებდით და ის ქურდი თავისუფლად დადიოდა.

შველამ ცხადად დაინახა, რომ პროტოკოლების წერით არაფერი გამოდიოდა, თავი დაანებეს და რაც რამე შემთხვევა მოუვიდოდათ, არც კი ატყობინებდნენ პოლიციას. პოლიციამაც მისცა თავი ძილს, რადგან სწერა, სწერა პროტოკოლები და დამნაშავეები კი მკედრის გარდა არაფერ შეიქნა! იფიქრა: ეტყობა, საიქიოდან მოდიან და იქ მიაქვთ ნაქურდალი და აბა რა უნდა მოუხერხოვო და ამასობაში დარჩა ჩვენს ქურდებს ბურთი და მოიღანი, და ჩვენ კი დაგვადგა სიმწარე.

შემდეგ გავხედეთ, რადაც უცრად პოლიციამ გამოიღვიძა, თითქო ძალში ჩვენება ენახათ რადეკი, თორემ ხო ხედავთ რევიზორები როგორ გახშირდნენო, და ეს ორი თვეა, ჩვენი პოლიცია თავის ენერგიულის მოქმედებით ლამის ლონდონის პოლიციას დაეძარო! ყველასათვის სასიამოვნოა მათ ასეთი ენერგიული მოქმედება; მხოლოდ ქურდები წელმოტეხილივით დაიარებიან.

თვითონ უეზლის უფროსი და მისი უმუროსი თანაშემწე დარბიან სოფლითი-სოფლად ეს ორი-და თვეა თითქმის ყოველ დღე და აწესებენ ყოველგან ქურდობის მოსასაბელს წესდებებს.

შოველგან ისმის: „გაგვეთლით კაცი, მოვისვენეთ ამ უბედურებისაგან“ და ღმერთს მადლობას სწირვენ.

(დასასრულია შექმვე №-ში.)

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! „დროების“ № 56-ში წაიკითხე ვილაც ქულაშელის წერილი შესახებ ქულაშის საზოგადოებისა.

ავტორის აზრით, ქულაშის თავდაზნაურობა არღვევს გლახობის ერთობას, ცდილობს ხელი შეუშალოს გლახებს ყოველ კეთილ საქმეში. დასამტკიცებლად ამისა მოჰყავს ნორმალურის სკოლის სახლის აშენების დაგვიანება, რომელშიაც ბრალდებულათ ხდის ქულაშელ თავდაზნაურობას.

ბ. ავტორს უნდა ეპკითხო როგორც ქულაშელს: სად ბრძანდებოდა ის, რომ ერთხელაც არ გაუვლია ეკლესიის მინდორზედ, სადაც ოთხი თვის განმავლობაში იკრიბებოდა მრთელი ქულაშის საზოგადოება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საქმის შესრულება, რომელზედაც იყო დამოკიდებული ბედი და უბედურება ჩვენი ახალგაზდა ღარიბებისა? თუ ერთხელ მინც გაიარა, რატომ ვერ შეამჩნია, რა შრომაში იყო ქულაშელი თავდაზნაურობა? და თუ არ გაუვლია მას, არ ჰქონია ქულაშელთადმი თანაგრძნობა, და ეს წერილიც მხოლოდ მისთვის დაუწერია, რომ დასტინოს ქულაშის საზოგადოების თავდაზნაურობას; მაგრამ ის დაეიწყებია, რომ უსაბუთოდ დაცინება თვით დამცინეღს შეარტყვენს.

ბ. ქულაშელი ბრძანებს სკოლის, სახლი რომ დღემდისაც არ გაკეთებულა, ეს ქულაშელ თავდაზნაურების წყალობა არისო და, თუ ვაკეთებო, გლახების ორი წარმომადგენლის წყალობა იქნებაო. მხლა მიბრძანოს: ვინ იყიდა სკოლისათვის ადგილი, რომელიც აღიჩნია ბ-ნმა დირექტორმა? მინ დაიქირავა სახლი, რომელშიაც დღესაც სწავლობენ სომოცი შაგირდები? შეიძლება იმან მომიგოს: სახლი თუ თავადებმა იქირავა, იქირავებს თავის შეიღებისათვისო. მაგრამ თავდაზნაურთაგანი სამოც შაგირდში, რომელიც სწავლობენ დროებით ნაქირავებ სახლში, მარტო თუთხმეტია და დანარჩენი კი სულ გლახების შეიღებია.

ვერც ადგილის თაობაზედაც მომიგებს ქულაშელი პასუხს, რომელზედაც გლახები იბრძოდნენ მრთელი ოთხი თვე, რადგანაც ქულაშის საზოგადოებას შეადგენს ხუთი სხვა კიდევ სოფელი და არც ერთ ამ სოფლის ხალხს არ უნდოდათ გამოეღოთ ადგილის ფასად ფული, თუ ადგილი სკოლისათვის არ აღიჩნეოდა მათ სოფელში.

თუ ბ-ნ ქულაშელს მისს საზოგადოების სიკეთე სურს რად დაეიწყებია ის უმგვანო მოქმედება, რომელიც ჩადენილ იქნა ჩვენი ახალგანათლებლების შემწეობით რამოდენიმე პირებისაგან. ნუ თუ ქულაშელმა არ იცის, რომ ბ. აღიჩნდელ დირექტორმა მუთათისის გუბერნიის სახლობო სასწავლებლებსამ ბ. მ — მა რომ გამოაცხადა საზოგადოთ: ქულაშში დაარსდა ერთ-კლასიანი ნორმალური სკოლაო, რომელშიაც მიიღება მარტო ქულაშის საზოგადოების შეიღებო; მაგრამ ჩვენი საზოგადოების გლახები ატირებული გაუშვეს თავის შეიღებით სახლში და გარეშე საზოგადოებისა კი თორმეტი ყმაწვილი მიიღეს.

ამ აუკანონო მოქმედებამ დიდი უკმაყოფილება დაბადა საზოგადოებაში, ისე რომ შემდეგ ამისთანა უმგვანო მოქმედებისა თითქმის ნახევარმა წაწილმა ხელი ააღეს სკოლის საქმე.

ს. მ — ქ.

უცხოეთი

შვეიცარია. ციურხიხილამ იწერებინა ერთს ნემეცურ გაზეთში, რომ აქაურ კანტონილურ რჩევაში მოლაპარაკება იყო მომავალ რევოლიუციონერთა კრებაზედ ციურხიხში, თუ რა ზომები მიეღოთ ამ კრებების შესახებ.

რჩევამ გარდაწყვიტა: არ აკრძალოს ეს კრებები, მაგრამ ყურადღება კი იქონიონ წესიერების დასაცვლად — ბერნილამ იწერებინა, რომ არავითარი წინადადება არ მიუღია ჯერ შვეიცარიის მმართველობის შესახებ ამ ქვეყანაში გარდასახლებულს რუსის რევოლიუციონერებისა. მაგრამ შენევაში მცხოვრებთ რუსის ემიგრანტებს შორის, მანც დიდი პლელერება არისო: იმათ განიძრახეს შვეიცარიის მმართველობას წარუდგინონ თავიანთი გასამართლებელი საბუთები და ამ ნაირად გააუქმონ ის ქორები, რომელიც მათ მოქმედებაზედ არის გავრცელებულიო.

საზრანგეთი. როგორც ინგლისს ბოგრები, სპარსეთს მურთები და რუსეთს თევლები აუტყდნენ და შიდა რიგს ეს სახელმწიფოები, ისე ამ ქამალ საფრანგეთს თუნისი (აფრიკაში) აუჯანყდა. ალჯირის (საფრანგეთის სამფლობელო აფრიკაში) და თუნისის სამზღვარზედ მუდამ ხდება წერილობანი შეტაკება შრანცუზებსა და თუნისელებს შორის. ამ საზღვარზედ საფრანგეთის მმართველობამ გაგზავნა ახლა ჯარები აჯანყებულების დასამშვიდებლად.

ოსმალეთი. შრთს ნემეცურ გაზეთში იწერებინა ქონსტანტინეპოლიდამ: უკანასკნელ ოსმალეთის წინადადებით მას რჩება ქ. ქ. ართი, პრევეზა, მეცოფო და იანინა. საბერძენისათვის დათმობილი მიწები შეიცავენ თითქმის 14,000 ოთხ-კუთხ ვერსს.

— შრთს ოსმალეთის სამფლობელო კუნძულზე ხიოსზე მოხდა, და ეხლაც გრძელდება, საშინელი მიწისძვრა.

შოველ დღე მოდის ცნობები ამ კუნძულიდამ. ოც-დაათი სოფელი დაუქცევია მიწისძვრას. რამდენიმე ათასი კაცი დაუხოცია. მცხოვრებლები საჩქაროთ იხიზნებიან კუნძულიდამ. ოლონდ თავიანთ თავს უშველონ და მაცვალეულებს ვინ დაეძებს; 40,000 სული უსახლ-კაროთ და შიმშილისაგან სწყდებიანო. მითხალფაშას გაუგზავნია ორი გემი საყვებავი მასალებით და ხონთქარს ცარი. ხიოსელები მთელ მერობას ევედრებიან შევლას.

— ინგლისურ გაზეთში სწერენ სტამბოლიდამ, რომ ღარდანელის სრუტეში ჩაუშვიათ 93 ტარპედი (ასაფეთქი მასალები).

საბერძნეთი. ალექსანდრიდამ იწერებინა გაზ. „რუსკი ტურისტო“:

აქაური ბერძენები საზოგადოთ ძრიელ გაბრაზებული არიან ებრაელებზედ. ამ დღეებში ერთ თხრილში წააწყდნენ ერთ პატარა ბავშვის გვამს. ბავშვი ბერძენი აღმოჩნდა და ეს საქმე ურიებს დააბრალებს. გაბრაზებული ბერძენები დაერინენ ურიებს და მას შემდეგ მოსვენებას აღარ აძლევენ. რამდენიმე დღის შემდეგ ერთ ბაზარში ერთმა ბერძენმა სცემა ურიას. პოლიციამ დაატუსაღა ბერძენი და მიჰყავდა სატუსალოში; მაგრამ რამდენიმე ბერძენი მივარდა პოლიციელებს, კარგა ლაზათიანათ შელახეს და ცატუსალებული ბერძენი წამოიყვანეს.

სამართალი

ხელაწიფის მკვლელების საქმე.

სენატის სასამართლო (სხდომა 26 მარტს)

სასამართლოს თავს-მჯდომარე, ბრალდებულო რისაკოე, გამოაცხადეთ თქვენი სახელი, გვარი, მამის სახელი და რა ხელობის კაცი ხართ?

რისაკოე. ძალაქ ტიხენის მესხანინი ნიკოლაი ივანეს-ძე რისაკოე, 19 წლისა, მმართველ-მადიდებელი სარწმუნოების. შამამტყუენებელი ოქმის პირი მივიღე.

ამ გვარსავე კითხვაზე უპასუხეს: მისხილგომა. — ის არის სმოლენსკის გუბერნიის გლეხი, ჰქვიან თიმოფეი, 21 წლისა, მმართველ-მადიდებელი, ქვაბების მკეთებელი, პირი მიიღო.

გელქმანი — მესხან კა, ბესსა, 26 წლისა, რევოლიუციურ საქმეებს მისდევდა, პირი მიიღო.

კიბაღინი — მღვდლის შვილი, ნიკოლაი, 25 წლისა, მმართველ-მადიდებელი, რევოლიუციურ საქმეებს არიგებდა, პირი მიიღო.

შერგვსკისა — აზნაურის ქალი, სოფიო, 27 წლისა, რევოლიუციურ საქმეებს არიგებდა.

ჟელაბოვი — ტავრიისკის გუბ. გლეხი, ანდრია ივანეს-ძე. ღღეს მეთერთმეტე საათზე მომცეს მე რალაც დოკუმენტი, რომელიც მგონია ამ სასამართლოსაგან არ უნდა იყოს. ამ დოკუმენტს ნომერი არ აწერია, ზედ არის მხოლოდ მოწერილი „განცხადება“ და ქვევით ხელ-მოწერილია „პლევე“. აქ არ არის მოხსენებული ვისგან შესდგებოდა „სალკე პრისუტსტეი სენატისა“, რომელმანც ეს ქალღი გამომიგზავნა. ბუშინ მე შევიტანე სენატის ცალკე პრისუტსტეიაში ქალღი, რომელიშიაც ვამტკიცებდი, რომ რადგან ჩვენ, რევოლიუციონერები და მმართველობა ერთმანეთის მტრები ვართ, რადგან მმართველობა პირ-და-პირ გარეულია ამ საქმეში და მიუდგომელად განსჯა არ შეუძლიან, ამის გამო ეს მთავრობისაგან დანიშნული სასამართლო არ უნდა იყოს ჩვენი განმასამართლებელი. ჩვენი საქმის დაფასება და განსჯა მხოლოდ ხალხს, ანუ ხალხისაგან

ამორჩეულ მოსამართლებს, ნაფიც სასამართლოს შეუძლიან.

მბერ-სეკრეტარმა წაიკითხა სენატის გარდაწყვეტილება და კანონები, რომლის ძალითაც შელიაბოვის თავის წინადადებაზე უარი ეთქვა.

თავს-მჯდომარე. ახლა მე თქვენ გთხოვთ, რაც გკითხვთ, იმის პასუხი მითხრათ. რამდენი წლისა ხართ?

ჟელაბოვი. მმართველ-მადიდებელად ვარ მონათლული, მაგრამ მმართველ-მადიდებლობა არა მრწამს, თუმცა ძრისტეს სწავლას ვაღვიარებ. ამ სწავლას დიდი ადგილი უჭირავს ჩემ ზნეოცით მიმართულებაში. მე მრწამს ძრისტეს სწავლის ჰუმანიტება და სამართლიანობა და სახალხოთ ვაღვიარებ, რომ „სარწმუნოება უსაქმოდ მკედარ არს“. შოველი ნამდვილი ქრისტიანი სიმართლისა, სუსტთა და დაჩაგრულთათვის უნდა იბრძოდეს, და თუ საჭიროა, ეწამოს ამისათვის. აი ეს არის ჩემი სარწმუნოება.

თავს-მჯდომარე. რა საქმეს ადექით, სანამ დაგიქვრდნენ?

ჟელაბოვი. ჩემი ხელობა დაჩაგრულ ხალხის სამსახურია. ამ ხალხის განთავისუფლებას ვემსახურები მე დიდი ხანია რაც ძალა და ღონე მაქვს. მე მივიღე სამი ბრალმდებთი ოქმის პირი.

მბერ-სეკრეტარმა მოახსენა სასამართლოს, რომ ყველა მოწმეები, გარდა ოთხისა გამოცხადდნენო. ორივე მხარე, პროკურორი მურავეიცი და ბრალდებულის ვექილებიც, დათანხმდნენ, რომ საქმე უამ მოწმეობთ განაგრძონ. მხოლოდ მიცვალეულის პოლიტიკურ დამნაშაფის ჩვენების წაკითხვის თაობაზე ატყდა ბასი. პიბალიჩის ვექილი ბერარდი და ბრალდებულო შელიაბოვი ამტკიცებდნენ, რომ შოლდენბერგის ჩვენების წაკითხვა არ შეიძლებაო, რადგან ის ამ საქმეში მოწმედ არ არისო; პროკურორი კი თხოულობდა. სასამართლომ გადაწყვიტა, წაიკითხოს მხოლოდ ის ადგილი შოლდენბერგის ჩვენებისა, რომელიც პირ-და-პირ შელიაბოვის შეეხება.

შემდეგ, თავს-მჯდომარის განკარგულებით, ობერ-პროკურორმა წაიკითხა ბრალდებთი ოქმი, რომელიშიაც დაწერილებით არის აწერილი ხელმწიფის მოკვლის გარემოება. ეს გარემოება ჩვენს გაზეთშიაც საკმაოდ ვრცლად იყო მოყვანილი და ამიტომ ამ ოქმიდამ აქ მხოლოდ რამდენსამე ახალ გარემოებას მოვიყვანო.

ოქმიდამ სჩანს, რომ ხელმწიფის მოსაკლავად მზადება შემოხსენებულ ექვს ბრალდებულს მხოლოდ ათი დღით წინ დაუწყიათ 1 მარტადღნი. პირველი სიტყვა ხელმწიფის მოკვლაზე წარმოუთქვამა შელიაბოვის. იმ წამსვე 47 რევოლიუციონერი გამოჩენილა, რომელთაც უკისრნათ მ განზრახვის სისრულეში მოყვანა. მ გრამ რევოლიუციონერ „აღმასრულებელ კამიტეტს“ ამ საქმისათვის აღმოურჩევია მხოლოდ სამი უფრო საიმელო კაცი: რისაკოე, მხილოვი და

ვილაც მიხაილ ივანჩი, რომელსაც კოტკის ეძახოდნენ და რომელმაც ხელმწიფეს ესროლა მთელი მთელი ყუმბარა. ასაფეთქ მასალებსა და ყუმბარებს შესსა ბელქმანის სადგომში ამზადებდნენ და 1 მარტს აქედამ გამოვიდნენ ექვსნივე ხელმწიფის მოსაკლავად. ხელმწიფის ყარაულობა და იპის მკვლელობის თადარიგი პეროვსკის ქალმა იკისრა. ამ ქალმა მოახდინა განკარგულება — თუ ვის სად უნდა ედარაჯნათ ხელმწიფისათვის, როგორ უნდა ესროლათ ყუმბარა და სხე.

მაგრამ ყველა ამას უფრო კარგათ გავიგებთ თვითონ ბრალდებულის რისაკოვის ჩვენებიდამ, რომელიც სრულად არის მოყვანილი ბრალმდებთი აქტში და რომელიშიაც ნათლად არის გამოხატული ამ შეთქმულობის ყველა გარემოება.

რისაკოვის დაწერილი ჩვენება:

სოციალ-რევოლიუციონერების საქმის თანაგრძნობა პირველად შორნი ინსტიტუტში შესვლადღნი, ე. ი. 1879 წლის სექტემბრადღნი, იყო რისაკოვის გულში აღძრული; მაგრამ 1881 წლის იანვრადღნი „ნაროდნია ვოლას“ პარტიაში ნამდვილი მონაწილეობა იმას არ მიუღია. ამ ხანებში რისაკოვმა ერთ სტუდენტთან გაიცნო შელიაბოვი, რომლის გაცნობამაც იმას გაუმაგრა და უფრო მკვიდრად დაუნერგა გულში რევოლიუციონერებში ჩაწერა. პირველად რისაკოვი, შელიაბოვის ხელმძღვანელობით, პეტერბურლის მუშა-ხალხს დაუახლოვდა, წერა-კითხვას ასწავლიდა იმათ და თან რევოლიუციურ აზრებს უქადაგებდა შესახებ აჯანყებისა და ნეთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობისა. რისაკოვი ხშირად დაიარებოდა თავის თანამოაზრეების კრებებზედ, სადაც სხვა-დასხვა რევოლიუციურ საგნების შესახებ ჰქონდათ სჯა. რისაკოვმა იცოდა, რომ რუსის ხალხი ჯერ რევოლიუციისათვის მომზადებული არ იყო; მაგრამ ჰფიქრობდა, რომ თუ იმას წინ გაუძღვება მხნე და გამბედავი კაცი, შეიძლება გამოიღვიძოს და თავის მდგომარეობაზე დაფიქრდეს. ამისთანა წინამძღოლად იმას „ნაროდნია ვოლას“ პარტია მიჩნდა, თუმცა ყველა აზრებს ამ პარტიისას ის არ თანაუგრძნობდა.

რისაკოვი ორ დასს იცნობდა რევოლიუციონერებისას: „ამღელვებელს“ და „აღმსრულებელ კამიტეტს“. პირველში ირიცხებოდნენ: შელიაბოვი, პეროვსკისა, თვითონ ის — რისაკოვი, ერთი ვილაც, რომელსაც სხვები „ინვალიდს“ ეძახდნენ და ამას გარდა კიდევ მეორე კაცი, რომელსაც ამხანაგები ხან „მიხილ ივანჩის“ და ხან „პოტკის“ ეძახდნენ. „აღმასრულებელ კამიტეტში“ ანუ ტერორის მომხრეებში იყვნენ: რისაკოვი, შელიაბოვი, მიხილ ივანჩი, თიმოფეი მიხილოვი და ერთიც სხვა.

ხელმწიფის მოკვლაზე პირველად აღმასრულებელ კამიტეტში ჩამოვირდა ლაპარაკი. შელიაბოვმა პირველმა

წარმოსთქვა ეს სიტყვა და გამოიწვია მსურველები. მიზნები ხელმწიფის მოკვლის აჩქარებისა ის იყო, რომ მთავრობამ რამდენიმე ჩვენი მომხრეები დაიჭირა და გვეშინადა სულ არ დაფუჭულიყო რევოლუციონერების საქმე. ტილოქნის ქუჩაზე, ბელქმანის და საბლინის სადგომში, იყო რამდონიმე კრება ამ საგანზე მოსალაპარაკებლად და აქვე მზადდებოდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. პეროვსკის ქალი, რისაკოვი და მიხაილოვი ყარაულობდნენ ხელმწიფეს და ტყობილობდნენ — რა დროს გამოდის ხოლმე ის სასახლიდამ, ად დაიარება, რომელ ქუჩებით და რა დროს. ბელქმანთან დაიარებოდა აგრეთვე ერთი პირი, რომელსაც ყველა „ტეხნიკს“ ეძახდნენ (ბაბალიჩი) და რომელიც ასაფეთქებელ მასალებს ამზადებდა.

28 თებერვალს რისაკოვი, ბაბალიჩი, მიხაილოვი და „ბოტიკი“ ქალაქს გარეთ წავიდნენ და იქ გასინჯეს ასაფეთქებელი ყუმბარა. გამოდგა, რომ კარგათ გასქდა.

მეორე დღეს, 1 მარტს, ხელახლად მოგროვდნენ ბელქმანის სადგომზე, დილის 9 საათზე: რისაკოვი, მიხაილოვი, „ბოტიკი“ და „მიხილი“. მალე მოვიდა სოფიო პეროვსკისა და მოიტანა თან ცხვირ სახოცში გამოხვეული ორი ასაფეთქი ყუმბარა. პეროვსკისამ გვაცნობა, რომ შელიაბოვი წუხელ დაატუსაღესო. ბეითხრა, ორი ყუმბარის მეტი ვერ მოვაზადეთ, თუმცა წუხელი მთელი ღამე ემუშაობდითო; მაგრამ იქნება კიდევ მოიტანა. ორჯერ ხანს შემდეგ მოვიდა „ტეხნიკი“ (ბაბალიჩი) და კიდევ მოიტანა ყუმბარები.

შველა განკარგულებას — თუ სად და რა დროს უნდა დამდგარიყვნენ ხელმწიფის შველები, აძლევდა პეროვსკის ქალი, რომელმაც დახატა ქალაქად ადგილის პლანი და თითოეულ ამ საქმის მონაწილეს თავ-თავის ადგილი დაუნიშნა.

პატარა სადგომის ქუჩა უნდა აეფეთქნათ. ყუმბარებიანები კი იქვე ახლო-მხლოს უნდა მდგარიყვნენ. რისაკოვი ეკატერინეს ბაღთან უნდა ყოფილიყო გაჩერებული და „მიხილი“ ნევის პროსპექტისა და პატარა ბაღის ქუჩის კუთხეში. ამათ პირ-და-პირ მანქანის მიმართ უფრო გამოცდილი პირები იდგნენ: „მიხილი ივანიჩი“ და ტიმოფეი მიხაილოვი. თუ ვინცოდა, პატარა ბაღის ქუჩის აფეთქება ვერ მოჰკლავდა ხელმწიფეს, მაშინ ყველას იმ ადგილას უნდა მიუშურებინათ და ესროლოთ ყუმბარები ხელმწიფის კარეტისათვის.

თუ ხელმწიფე პატარა ბაღის ქუჩაზე არ გამოვიდოდა, ამ შემთხვევაში ყველანი მიხაილოვის ქუჩაზე უნდა მოგროვილიყვნენ, აქ ნახამდნენ პეროვსკისას და იმის დარიგების-თანხმად მოიქცეოდნენ.

როდესაც მანქანად დაბრუნების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა სხვა ქუჩით შეუხვია მიხაილოვს სასახლისკენ, ამდროს რისაკოვი მივიდა ეკატერინეს არხთან, სადაც პეროვსკის ქალიც იდგა, და მოახლოვდა თუ არა კარეტა, ესროლა პირველი ასაფეთქი ყუმბარა, რომელიც ხელსახოცში გამოხვეული იქნა. ამის შემდეგ რისაკოვი დაიჭირეს. აქვე რისაკოვმა დაინახა „მიხილი ივანიჩი“ (ბოტიკი), რომელმაც, იმის ახრით, მეორე ყუმბარა ესროლა კარეტიდამ ჩამომხტარ ხელმწიფეს.

(გაგრძელდება)

ბანსხალეზანი

დასუიღვის დროს ინგლისის მღაზიაში იყიდება შარვლები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საქმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურადამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1560 და 100 მან. რევოლვლები 4 მან. — 40მ-დი ქულები და შლაბები თითო მანეთად უნაფირები 3. მ-დამ; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტვინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქალაღლოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი ქალაღლოთ.

იქვე მრავალი ტახტები, ფაღნაგები, კლიტეები, დანები, კაფები, კალმები, ქალაღლი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქენები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იათათ ვინემ სხვაგან. (15—3)

ძმ. სალი-ოღლის თამბაქოს შაბრიქისაზან.

რადგან ზოგიერთი თფილისი მეთამბაქოებო, რომელთაც ოავის საკუთარი კარგი თამბაქო არა აქვთ, ჩვენნი მტკიანთების მსგავს მტკიანთებს აპირან თავიანთ პაპიროზებსა და თამბაქოს და ამ თატუშებან გამოუცდელ და წერაკითხვის უცოდნელ ხალს, ამის გამო ჩვენი ფაბრიკა საქაროდ რაცხს გამოაცხადოს, რომ ამ მოტყუების თაფად ასაცდენად, ყველა მყიდველმა თამბაქოსისა და პაპიროზებისა გაინჯოს ჩვენი ფირმის ზედ-წარწერა: **ოღსამ-ლოს მუშავერომი ძმები სალი-ოღლი**.

შაბრიქა სალი-ოღლისა. (5—5)

იაგორ კასუმიოვის და აძს.

სავაჭრო სასაში მიღებულია სამღვარგარეთიდან საოჯასო საუკეთესო ძვლის სავაჭრსლები სხვა და სხვა ზომებისა. ისეიღება არა ნაკლებ ნასკვარ ღუქისისა ფაბრიკის ფასებით. (3—0)

დიდ-ძალ სამონლის დასუიღვა

ფაბრიკის ფასებით, ინგლისის მღაზიაში, არწრუნის გაღერეიაში. იქვე ისეიღება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახ მეცელი, კაკაო, შოკოლადი, სტაქენები და სახის დასამშენებელად რძის, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—10)

ინგლისის მღაზიაში

თიხანა-სევენი  **გაპ-მას-ტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს ამღებს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გავაზანთ 2 მანეთი და 28 კაზ.

აქვე ისეიღება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტკივილის მოსსაზომლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—55)

განხაროვის ქალის მღაზიაში,

განავის ქუჩაზედ სოლოლაკში მიღებულია შრავადა გუდასპირები და თავსაკრავები. (5—4)

ბეზრი კრამტები

შოდონები, კლიტეები, კალმები, ქალაღები, თოფები, რევოლვრები, სტაქენები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისეიღება ინგლისის მღაზიაში.

იქვე: პალტო 12 მან — დამ, შარვლები 4 მან — დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ძიხტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ. — 2 მან. (უმშენიერესი) გირვ. უქალაღლოთ. მართი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—17)

მიუხედავით იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინა იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინისი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშუქნიერი კასისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ გარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაღლოთ.

ინგლისური რევოლვრები 4 მ.—40 მანეთადის და თოფები 20—200 მანეთადის. **ინგლისის მღაზიაში.** საგეტო ბარნსის უნაგრების გასასყადლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ჭრანის, რომელთაც დაიმსახურეს ჰარიყის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არმატიული ჩასა ღამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სწულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გავრები მოიგებენ, თუ იყიდან ბლამთ ინგლისის მღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—48

საქმავილო. წიგნი

„წყარო“ ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოცემული, გამოვიდა და დარიგდა გასასყიდლათ ჩარკვიანის, ბრიტუროვის და მართანოვის წიგნის მღაზიებში.

ძალაქ გარეთ იყიდება: ბორში მარ. პერესელიძისთან, შუთაისში ბერარდის წიგნის მღაზიაში და სხვა პატარა ქალაქებში ყველა იმ პირთან, ვინც კი ქართული წიგნებით ვაჭრობს.

შასი ხუთი შაური. ოც ეგზემლიარზე მეტს ვინც დაიბარებს, იმას აბაზათ დაეთმობა ეგზემლიარი. მეორე № „წყაროსი“ გამოვა სააღდგომით. (3—3)

ლონდონის მღაზია

მრეენის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიხტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვრებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფაღნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩიყ, კიტების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებლის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთი წინდების, ჩულქების, კარანდების, რკინის კლმების და სხვ... (100—51)

დასუიღვა ფასებით:

სასამთრო ჰალტაუბი 12 მანეთადამ; ჭრუჭიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთადამ, ფაღნოსები 5 კაზკიკადამ; თეფშები 12 კაზ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური გამფეტები 40 კანეიკადამ, და ჩაი, რომელიც ვეკვან 2 მ. 50 კ. დირს, ისეიღება 1 მან. 80 კ.

ინგლისის მღაზიაში, არწრუნის გაღერეიაში. (20—17).

ხველის კამფეტური 40 კანეიკადამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციები-სათვის—10 მან. 50 კაზ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაზ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ვინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შიდა სანთლები და მშრალი საპონი **ინგლისის მღაზიაში.** (20—19)

ლონდონის მღაზია კომერციული

ბანკის ქვეშ დაარსებულია სამღვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი შოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რევოლვრებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, გრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალაღისა, კარანდებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშევისი სუთისა) და სხვ. საგეტო მანკინტონის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატუქრის და კაშ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიადამ. სამღვილი ჭავანის ივარები. (100—48)